ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 12 (9999) • 18 marti • 2013 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## „იმდენი მედიასაშუალება უნდა იყოს ქვეყანაში, რაც სჭირდება საზოგადოებას“

გაზეთი „ალიონი“



14 მარტს, ქ. თბილისში, საგამოფენო ცენტს „ექსპო=ჯორჯიაში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს რეგიონული მედიის წარმოამდგენლებს შეხვდა. 2011 წლის ოქტომბერში ოპოზიციონერ ლიდერთან გამართულ შეხვედრისგან განსხვავებით, რეგიონული მედია უფრო მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

**–ერთად ვიბრძოლეთ, ერთად მოვახერხეთ და ნაციონალური მოძრაობა დავამარცხეთ. მედიამ ითამაშა უდიდესი როლი. პირველ ოქტომბერს ჩვენ მივილეთ ის ხმები, რაც გვჭირდებოდა. ისევ ერთად უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა–განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.**

ყველაზე ვრცელი პასუხი საკონსტიტუციო ცვლილებებს მიუძღვნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, კონსტიტუცია შეცვალა. ვისაც დემოკრატიაზე პრეტენზია აქვს, ასეთი გადაწყვეტილება უპრეცედენტოა. პარლამენტი პრაქტიკულად სააკაშვილის სურვილების დანამატი იყო. ხელისუფლებებს შორის დაბალანსება აბსოლუტურად დარღვეული იყო. პრეზიდენტს უფლება აქვს, თუ არ მოსწონს მთავრობა, დაითხოვოს. ეს ნორმალურია, მაგრამ არცერთ ქვეყანაში ახალ მთავრობას პრეზიდენტი პარლამენტის დამტკიცების გარეშე ვერ ნიშნავს. პარლამენტში იქნება კენჭისყრა და ახლა მთლიანად ნაციონალური მოძრაობის მხარეს გადავიდა თამაში. მათი ხმები სარგებელს ან ზიანს მხოლოდ მათ მოუტანს. ძალიან დიდი ალბათობით ხმების რაოდენობა იმაზე მეტი იქნება, რაც საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად. დღეს ნაციონალური მოძრაობა ამ ნორმის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, ეს მათთვის კატასტროფა იქნება. თუ ეს საკონსტიტუციო ცვლილება ჩავარდება, ჩვენთვის, როგორც ოპონენტებისათვის, პოლიტიკურად მომგებიანი იქნება, რადგან დამარცხდებიან. საბოლოოდ დაკარგავენ სახეს. თუ ამ დიქტატორულ კანონს შეინარჩუნებენ ამერიკასა და ევროპაში კატასტროფულ შედეგებს მიიღებენ. ადამიანურად ჩემი სურვილი არ არის ნაციონალური მოძრაობის განადგურება, ეს მხოლოდ მათ შეუძლიათ. დღეს სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის წინაალმდეგი არის, თვითონვე ანადგურებს თავისი პოზიციით იმას, რაც უნდა, მე დამაბრალოს. მე არაფერში არ მჭირდება გოკა გაბაშვილის ხმა, ეს მხოლოდ მათ სჭირდებათ.

ია ბობოხიძის შემდეგ კითხვა გაზეთ „გურია ნიუსის“ჟურნალისტმა თამარ ლეფსვენიძემ დასვა. მისი კითხვა კოტე კუბლაშვილს შეეხებოდა, თუ რატომ უდგება პრემიერ-მინისტრი კუბლაშვილს გარანტად?

–ძალიან ბევრი ჩინოვნიკი სააკაშვილის და მისი იდეოლოგიის მსხვერპლია. მეც ორწელიწად-ნახევარი ვიყავი მისი მსხვერპლი. არ გამიგია კუბლაშვილი ძალიან მდიდარი და მექრთამეა. ის ვერ ახერხებდა, უარი ეთქვა და სისტემის წინაალმდეგ წასულიყო. ჩემი აზრით კოტე კუბლაშვილი ამ სისტემის მსხვერპლი გახდა–აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მან ისიც აღნიშნა,– არჩევნებზე პარლამენტში ჩვენი საყვარელი ხალხი შევიყვანეთ, არჩევნები მოვიგეთ, მაგრამ კანონშემოქმედებაა მნიშვნელოვანი. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მახსენებს შუალედურ არჩევნებს და მეუბნება, რომ რომელიმე ცნობილი სახე, მსახიობი არ შევიყვანო პარლამენტში. კანონპროექტზე მუშაობა უნდა შეეძლოს დეპუტატს და გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

პრემიერმა ილაპარაკა განსახორციელებელ 1,5 მილიარდ ინვესტიციაზე, სამომხმარებლო კრედიტზე, ბათუმში მეჩეთის აშენებაზე და ა.შ.

გაზეთი „ალიონი“კითხვის დასმამდე რეგიონულ მედიაში არსებულ პრობლემებს შეეხო და აღნიშნა, თუ როგორ ჰქონდა მობილიზებული ხელისუფლებას ფინანსური რესურსები, რათა არათანაბარი კონკურენციის პირობებში ჩაეყენებინათ თავისუფალი მედიასაშუალებები, რაშიც განსაკუთრებულად დაოსტატებული იყო გურიის სამხარეო ადმინისტრაცია.

შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაზეთ „ალიონის“რედაქტორს უთხრა, რომ მალე ბიზნესს გააძლიერებენ საქართველოში–მედია და ბიზნესი ერთად გაძლიერდება.

გაზეთ „ალიონის“მთავარი კითხვა ჯანდაცვის სისტემას შეეხებოდა.

– მოსახლეობა ფიქრობს, რომ წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჯანდაცვის კუთხით, სახელმწიფო სტრატეგია არასწორია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ ერთი ქოლგის ქვეშ გააერთიანეს სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანიები, საავადმყოფოები. მათ შექმნეს მონოპოლიები სადაზღვევო ბაზარზე და მოსახლეობას არჩევანის უფლება არ დაუტოვეს. ოზურგეთში „მედალფას“კლინიკაში ბოლო პერიოდში იყო გარდაცვალების, მათ შორის ბავშვის გარდაცვალების ფაქტი. „მედალფაზე“ მიერთებულ სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს ამჟამად მხოლოდ ერთი სასწრაფო დახმარების მანქანა ემსახურება. მიუხედავად აქ მომუშავე ექიმების პროფესიონალიზმისა, ისინი ვერ ახერხებენ მოსახლეობის დროულ მომსახურებას. (შეხვედრაზე სასწრაფო მანქანის საკითხი გაზეთ პ.ს -ის რედაქტორმა ნატო გუბელაძემაც დააყენა).

ბიძინა ივანიშვილმა მნიშვნელოანი უწოდა ამ საკითს და გამოთქვა მზადყოფნა დაეხმარონ სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს.

## ვანო ჩხარტიშვილი ოზურგეთში



ამ დღეებში ქ. ოზურგეთში ჩამოვიდა ინგლისიდან დაბრუნებული ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი.

პარლამენტის ყოფილმა მაჟორიტარმა დეპუტატმა მშობლების საფლავები მოინახულა, შეხვდა ახლობლებს და მეგობრებს. მის სტუმართა შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებიც იყვნენ.

ვანო ჩხარტიშვილი შეხვდა გურიის ეპისკოპოსს, მეუფე იოსებს და სამღვდელოებას, სანთლები დაანთო მის მიერ აგებულ ოზურგეთის საკათედრო ტაძარში.

რაც შეეხება მასთან შეთანხმებულ მოკლე ინტერვიუს თემას, მან გაზეთს ურჩია კითხვები პრესსამსახურისთვის გადაეგზავნა. თუმცა პრესსამსახურიდან რედაქციამ პასუხი ვერ მიიღო.

არ დადასტურდა გავრცელებული აზრი, თითქოს ჩხარტიშვილი საქართველოში მეცხრე არხის საყიდლად ჩამოვიდა. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ეს აზრი უარყო.

## შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრთან

ნუგზარ ასათიანი




თბილისში, სასტუმრო „ციტადელში“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის თემა სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები, ახალი ხედვა, საგაზაფხულო პროგრამების წარდგენა იყო.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს. პროექტი 640 ათასი მცირემიწიანი ფერმერისა და გლეხისთვის ხვნისა და მიწის სამუშაოებს

▶▶▶ გვ-2

## თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა 7 მედიასაშუალების სარჩელი



თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა შვიდი მედიასაშუალების სარჩელი, რომლითაც ისინი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2012 წლის 6 აგვისტოს ბრძანების გაუქმებას ითხოვდნენ. ასევე საინტერესოა:

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა შვიდი მედიასაშუალების სარჩელი, რომლითაც ისინი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2012 წლის 6 აგისტოს ბრძანების გაუქმებას ითხოვდნენ.

ამ ნორმატიული აქტის თანახმად, მაუწყებლებსა და გაზეთებს პოლიტიკური რეკლამის განთავსების შემდეგ, აუდიტის სამსახურისთვის ინფორმაციის 24 საათში მიწოდება დაევალათ.

მოსარჩელე მედიასაშუალებბი იყვნენ: გაზეთები **"ბათუმელები"**, **"გურია ნიუსი"**, **"ალიონი"** და **„სპექტრი“**, ასევე, ტელეკომპანიები - **"კავკასია"**, **"მაესტრო"** და **"მეცხრე არხი"**.

"ჩვენ ვთვლით, რომ ბრძანების ეს ნაწილი უნდა გაბათილდეს, რადგან ეწინააღმდეგება საქართველოს "საარჩევნო კოდექსს", რომლის თანახმადაც, კომუნიკაციების ეროვნული კომისიაა უფლებამოსილი, დაადგინოს წესი წინასაარჩევნო პროცესებში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების თაობაზე",- უთხრა მედია.გე-ს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" არსებული "მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელმა ნათია კაპანაძემ სასამართლო პროცესის დაწყების წინ. ის პროცესზე რამდენიმე მედიასაშუალების ინტერესებს იცავდა.

მოპასუხე მხარე მიიჩნევდა, რომ აუდიტორის ბრძანებით, პოლიტიკურ პარტიებს მედიასაშუალებების მიმართ უფრო მეტი ვალდებულება შეექმნებოდათ, რომ პოლიტიკურ რეკლამაში თანხა გადაეხადათ.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 18 მარტი ორშაბათი | 19 მარტი სამშაბათი | 20 მარტი ოთხშაბათი | 21 მარტი ხუთშაბათი | 22 მარტი პარასკევი | 23 მარტი შაბათი | 24 მარტი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძლიერი წვიმა | თოვლი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | ღრუბელი | წვიმა |
| +9+12 | +2+6 | +9+13 | +11+18 | +11+20 | +11+18 | +4+11 |

# შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრთან

ითვალისწინებს. მხოლოდ საგაზაფხულო პროგრამის ბიუჯეტი 190 მილიონი ლარია.

აღსანიშნავია, რომ მიწის 70 პროცენტი არ იყო რეგისტრირებული. ამიტომ, საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, ნოემბერ-დეკემბერში მთელი ქვეყნის მასშტაბით სოფლის რწმუნებულების მიერ მოწოდებულ ფერმერთა სიებზე დაყრდნობით, განხორციელდა მიწათმოქმედთა აღწერა, შეიქმნა საინფორმაციო ბაზა და მოხვდა ადგილებზე მონაცემთა მეორადი გადამოწმება და ინფორმაციის გადადება საჯარო რეესტრიდან.

მცირემიწიან ფერმერთათვის შემუშავდა სხვადასხვა ტიპის დახმარების პაკეტი. საერთო ჯამში მთავრობა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დაეხმარება 640 000-ზე მეტ მიწის მესაკუთრეს, ვისაც საკუთრებაში ჯამურად აქვს 5 ჰექტრის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობების შესაბამის სარგებელს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა ,,შეღავათიანი აგროტექნიკის პროექტი,''რომელსაც დააფინასებს ,,სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.''პროექტი უკვე დაიწყო და სააგენტოს მიერ საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მომწოდებლებთან კონსულტაციების საფუძველზე, გამოიკვეთა პროექტის სამი კომპონენტი:

**I.6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისათვის –5000 ლარამდე;**

**II. შეღავათიანი აგროკრედიტები საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის;**

**ეს პროექტი ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაწესებული სესხის საპროცენტო განაკვეთის გარკვეული ნაწილის დაფინანსებას სააგენტოს მიერ. (მეწარმისათვის სესხი იქნება არაუმეტეს წლიური 7-8 პროცენტისა; ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის ჯამური თანხა განისაზღვრება 5 000-დან 100 000 ლარამდე);**

**III.შეღავათიანი აგროკრედიტები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.**

**ამ კომპონენტით სასესხო თანხა განისაზღვრება 30 000 აშშ დოლარიდან 600 000 დოლარამდე.**

მინისტრმა დავით კირვალიძემ, მისმა მოადგილე შალვა ფიფიამ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა გიორგი ჩხაიძემ პასუხები გასცეს ჟურნალისტთა არაერთ შეკითხვებს.

დასმულ კითხვათაგან ყველაზე მწვავე თემა უცხოელებზე მიწის ნაკვეთების გასხვისება იყო. დავით კირვალიძემ განმარტა, საქართველოში 32 000 ჰექტარი მიწის ფართობია გაყიდული, მათ შორის სასაზღვრო ზოლშიც კი. კახეთის რეგიონში უცხოელებზე 12 000 ჰექტარია გაყიდული. მათი ამჟამინდელი მფლობელებიდან ბევრი ინდუსია.

გაზეთი ,,ლანჩხუთი პლუსის''შეკითხვა კოლხეთის დაბლობის ჭაობებს ეხებოდა.

–კოლხეთის დაბლობს ეკოლოგიური ნიშა, თავისი ფუნქცია აქვს ბუნებაში. შესაძლოა ვინც ამ ჭაობთან ახლოს ცხოვრობს, აწუხებდეს კოღო, მაგრამ ასეთი ჭაობების დანიშნულებაა სიცოცხლის უზრუნველყოფა დედამიწაზე. თუ ასეთ დაცულ ადგილებს იმდენად დავაშრობთ, რომ ცვლილება საგრძნობი იქნება, შეიცვლება ბუნება, ცხოველთა სამყარო და ა.შ.

შეხვედრაზე დაისვა ნიადაგის შესწავლისა და მოვლის საკითხი

–ოზურგეთში, ანასეულში მდებარეობს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია, სადაც კვალიფიციურად გამოიკვლევენ ნიადაგის ნიმუშებს და სათანადო რეკომენდაციასაც მოგცემენ, თუ რა სახის მინერალი უნდა შეიტანო მასში. ზოგი სიმინდის ფართობში მარტო ამონიუმის გვარჯილას აძლევს და ამ დროს იმ ნიადაგს სჭირდება ფოსფორიც და კალიუმიც. აქ სპეციალისტების რჩევებია საჭირო.

გაზეთ ,,ალიონის'' შეკითხვები დასავლეთ საქართველოს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიის ჩართულობას სოფლის განვითარების პროგრამებში და ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პოტენციალის გამოყენებას შეეხებოდა.

–სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიცდის სამეცნიერო კადრების დეფიციტს. ის ადამიანები, რომლებიც დღეს მეცნიერებაში არიან, მათ ძირითადად განათლების მიღება გასული საუკუნის 90-იან წლებამდე დაასრულეს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ბოლო წლებში იყო ტენდენცია, ადამიანებს ჯერ საერთაშორისო პროექტებში ასაქმებდნენ და შემდეგ სწავლობდნენ სოფლის მეურნეობას. ჩვენ ამ მეცნიერებს საჭიროების და მიხედვით გამოვიყენებთ. სოფლის მეურნეობის აკადემია, ანასეულის ინსტიტუტი, კარგი გაგებით ოპონენტიც უნდა იყოს. როცა საკრედიტო პროგრამა გამოცხადდება ადამიანებს დასჭირდებათ ბევრი აგრონომი, სხვა სპეციალისტები, ზოოტექნიკოსები, ზოოინჟინრები, თუ როგორ უნდა განახორციელონ პროექტები.

უნდა შემუშავდეს ჩაის დარგობრივი პროგრამა. იცით თავის დროზე, 1985 წელს საქართველოში 785 ათასი ტონა ჩაი დამზადდა. არ დაუტოვებიათ ბუჩქიც კი....

დღეის მდგომარეობით, საქართველოში შესაძლებელია 18-20 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლაა სავარაუდო. ფერდობ ადგილებზე ჩაის პლანტაციები უნდა შენარჩუნდეს, რომ ნიადაგი დავიცვათ ეროზიისაგან, ხოლო ვაკე ადგილებზე სხვა კულტურების გაშენებაზე ვიფიქროთ. ანასეულის ჩაის ფაბრიკა ერთ-ერთმა ბიზნესმენმა იყიდა. არის გეგმები მეციტრუსეობაში. აი, აქ ვხედავთ ამ ინსტიტუტების გამოყენების პოტენციალს.

გაგვიჭირდება მსოფლიო ბაზარზე ირანთან, ჩინეთთან და იაპონიასთან კონკურენცია, მაგრამ მეაბრეშუმეობაშიც კი ვფიქრობთ სახელმწიფო სტიმულირებას.

# აშენდება თუ არა „ბახვი 1“ და „ბახვი 2“ ახალი კასკადი?

**ნუგზარ ასათიანი**



გასულ შაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მდ. ბახვისწყლის ხეობაში მშენებარე ,,ბახვი 3''გარშემო მორიგი შეხვედრა გაიმართა. ამჯერად შპს ,,ქიჯი ენერჯის''დირექტორს ვახტანგ ლონლაძეს მხოლოდ სოფ. მთისპირის ახალი რწმუნებული ქეთევან ჯინჭარაძე, ამ სოფლის კიდევ ორი მცხოვრები და გაზეთების ,,ალიონის''და ,,გურია ნიუსის''ჟურნალისტები შეხვდნენ. ამ შეხვედრას წინ უძღვოდა სოფ. მთისპირში გზის გადაკეტვა, რითაც მოსახლეობა მშენებლების მიერ დაზიანებული გზის შეკეთებას ითხოვდა.

**ვახტანგ ლონლაძე**–,,ალიონის'' ვებგვერდზე წავიკითხეთ წერილი ( ,,ბახვი–3''-ის მშენებლობა ბოლო ფაზაშია, ადგილობრივი მოსახლეობა კი ინფორმაციას არ ფლობს'' –რედ.) რამაც გადაგვაწყვეტინა კიდევ ერთხელ შევხვედროდით მოსახლეობას. იცით, ჩვენ განცხადება წინასწარ გვქონდა გაკეთებული, მაგრამ წინა შეხვედრას არ ესწრებოდა მოსახლეობა და არასამთავრობო სექტორი. ,,ბახვი-3'' აშენებულია, (დასამთავრებელია მთავარი კორპუსის აღდგენის სამუშაოები), მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები გაყვანილია და ივლისში ვვარაუდობთ ჰესის ტესტურ რეჟიმში გაშვებას. იცით, რომ მშენებლობაზე 200-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას არ ჰქონდა წესრიგში მიწის მესაკუთრეობის საბუთები, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სოფ. მთისპირში, ფამფალეთისა და ცხემლისხიდში, იქ, სადაც მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისათვის ანძები დაიდგა, 1000-დან 3000-ლარამდე ანაზღაურება მივეცით. ჰესის ამოქმედების შემდეგ იქ 30 ადამიანი დასაქმდება. გარდა ამისა, შარშან შევაკეთეთ ნაწილობრივ (50 ათასი დოლარი გამოვყავით) და ამჟამადაც ვგეგმავთ წილობრივად გზის შეკეთებას. სასურველი იყო ამ შეხვედრას სოფ. მთისპირის მოსახლეობის მეტი წარმომადგენლობა დასწრებოდა, რათა მათ მიერ დასმულს მეტ კითხვაზე გაგვეცა პასუხი''.

ვახტანგ ლონლაძეს ჟურნალისტებმა არაერთი კითხვა დაუსვეს. პირველი კითხვა 2012 წლის 27 სექტემბერს მეწყერის გამო ,,ბახვი 3'' ჰიდროელექტროსადგურის მთავარი შენობის მწყობრიდან გამოსვლას უკავშირდებოდა.

**– ეს იყო გეოლოგების მიერ სათანადო შეუფასებლობის შედეგი.**(როგორც შემდეგ დავაზუსტებინეთ ამ პროექტის ავტორი ,,ბახვიჰესის'' 5 %-იანი წილის მფლობელი შამილ ბირკაძის შპს ,,ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერია.''რედ) ჩვენ დავიწყეთ ამ საქმის გამოსწორება. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გააკეთა მოძხდარზე დასკვნა და ამ დასკვნის და გერმანელი ექსპერტების რჩევების საფუძველზე მთის ფერდობზე გაკეთდა სპეციალური ტერასები. ოქტომბრის თვიდან დეკემბრამდე შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები. ჩვენ გარემოს დაცვის მოთხოვნებსაც ვითვალისწინებთ და მდ. ბახვისწყალში გავუშვებთ თევზის ლიფსიტებს.

## რა დააშავა შავნგირაძემ?

სოფლის ამჟამინდეწლი რწმუნებულის ქეთინო ჯინჭარაძის აზრით, მშენებლობაზე და ჰესზე სამუშაოდ მთისპირლები მეტად უნდა დასაქმებულიყო, ხოლო ერეკლე და სევასტი სირაძეებმა მშენებლობის პროცესში სამუშაოთა მწარმოებლების მიმართ პეტენზიები წამოაყენს.

– ჯერ ერთი, მთისპირლები ნაკლებად იყვნენ დასაქმებულნი მშენებლობაზე. (ისიც ითქვა, რომ წინა ხელისუფლება ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ასაქმებდნენ), მეორეც, ჩვენ ნაკლებს გვიხდიდნენ, ვიდრე მათ მიერ მოყვანილ მუშებს. თუ მათ ბინის ქირასაც უხდიდნენ, კვების თანხასაც აძლევდნენ, ჩვენ მხოლოდ 15 ლარს გვიხდიდნენ დღეში და იმსაც გვამადლიდნენ, არადა ერთნაირად ვშრომობდით. გარდა იმისა, რომ ანაზღაურებას დაგვიანებით იძლეოდნენ, საკმაოდ დიდი სახელფასო დავალიანება აქვთ. შავნგირაძემ შეჭამა ჩვენი ხელფასები...

**ვახტან ლონლაძე:–ეს არის შრომის არასწორი ორგანიზაციის შედეგი. მშენებლობას ,,საქართველოს განახლებული ენერგეტიკის კომპანია''(ხელ-ლი აკაკი წერეთელი) აწარმოებდა. იმისთვის, რომ მშენებლებს ხელი არ შეშლოდათ, თანხას წინასწარ მეტი ოდენობით ვუხდიდით. მამუკა შავნგირაძე სამუშაოთა მწარმოებელია. როცა შევეკითხეთ მათ, ჰქონდათ თუ არა დავალიანებები, თავდაპირველად უარობდნენ. შემდეგ 115 კაცის ვალი დაასახელეს. გარდა ამისა, მათ აქვთ იურიდიული პირების, ინდმეწარმების ვალებიც. ჩვენი კომპანია წავიდა იმაზე, რომ ამ მუშებისთვის მათ მაგივრად გადაეხადა ხელფასის ნახევარი. ჩვენ ვერ გადავუხდით მათ იურიდიულ და სხვა ფიზიკურ პირებზე გასაცემ დავალიანებებს. ერთ-ერთი მათ შორის შპს ,,ტერექსია,''რომელსაც ბეტონის ქარხანა სოფ. მთისპირში აქვს. მათ მიცემული აქვთ დრო ვალების გასასტუმრებლად...**

## „ბახვი-1“და „ბახვი-2“ გაერთიანდება, ხოლო „ბახვი-5“-ის მშენებლობა მოიხსნა დღის წესრიგიდან

შეხვედრაზე ახალი ჰესების მშენებლობაზეც იყო საუბარი. ვახტანგ ლონლაძის თქმით, ამ თემაზეც მუშაობენ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტები და გერმანელი სპეციალისტები. 10 აპრილიდან 20 მაისამდე სპეციალური ხელსაწყოებით დამატებითი კვლევები ჩატარდება მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, კურორტ ბახმაროს რეკრიაციული ზონიდან 3-8 კმ. მანძილზე. გერმანელი ექსპერტების აზრია, რომ ,,ბახვი-1''და ,,ბახვი-2'' ერთ ჰესად გაერთიანდეს, რათა ნაკლები იყოს ბუნებაზე ზემოქმედების მაჩვენებელი. ექსპეტების შეაფასებენ, ჩამონადენ წყალზე უნდა გაკეთდეს ჰესი, თუ წყლის რეზერვუარზე. (ამ პროექტით 60 მეტრი სიმაღლის, 18 000 000 კბ. მეტრის მოცულობის ხელოვნური წყალსაცავი უნდა გაკეთდეს).

ვინაიდან ადგილობრივი სპეციალისტები არ ესწრებოდნენ შეხვედრას, გაზეთმა ,,ალიონმა''რამდენიმე კითხვა დასვა ხელოვნური წყალსაცავის მოწყობის შემთხვევაში მოსალოდნელ ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებით, რაზედაც ვახტანგ ლონლაძემ უპასუხა, რომ ისინი დაელოდებიან ექსპერტების და გერმანელი სპეციალისტების პასუხს, როგორი სახის უნდა აშენდეს, ან საერთოდ უნდა აშენდეს თუ არა ამ ხეობაში ახალი ჰესი.

–ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, არ გვაქვს იმის უფლება, ბახმაროს რაიმე ვავნოთ–განაცხადა ლონლაძემ და აღნიშნა, რომ უკვე მოიხსნა დღის წესრიგიდან ,,ბახვი-5''ის მშენებლობის საკითხი. მანამდე, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ რთული რელიეფის გამო ასევე მოიხსნა ,,ბახვი 4''-ის მშენებლობის საკითხი.

**მინაწერი:** <u>გაზეთმა ,,ალიონმა'' ამ თემას არაერთი წერილი მიუძღვნა. შარშან 16 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ბუნების დაცვის სპეციალისტთან რევაზ ჯანაშვილთან სათაურით ,,ხელოვნური წყალსაცავის გაკეთება ბახმაროში კლიმატს შეცვლის.''</u>

**,,გაზეთი ,,ალიონი:''–,,ბახვი-1''-ის სიმძლავრე იმ ტბაზე იქნება დამოკიდებული, ბახმაროს მიდამოებში რომ უნდა გააკეთონ?**

**რევაზ ჯანაშვილი:**–მე პირადად ამის წინააღმდეგი ვარ. გამორიცხულია ტბის გაკეთება, რადგან იგი შეცვლის კლიმატს. მე ამის შესახებ განვუცხადე პროექტის ავტორს. ტბის გაკეთება არც ბახმაროში და არც სხვაგან შეიძლება. სჯობს, ერთი-ორი თვით ნაკლები იმუშაოს ჰესმა, 1-2 მეგავატით ნაკლები მივიღოთ, ვიდრე ერთი გავაკეთოთ და ათი გავაფუჭოთ. ბახმაროს მიდამოებში 70-80 მეტრი სიმაღლის კაშხალი რომ ავაშენოთ, 3-4 კილომეტრი ტბის სარკეს ექნება სიგრძე, სიგანეზე აღარაა ლაპარაკი. წარმოიდგინეთ ბახმაროში შეიცვლება კლიმატი და იმ ჰაერით, რომლითაც ამაყობს ბახმარო, აღარ იქნება.''

# გამოჩენილი ქალბატონები გაიხსენეს

**ნინო ნიკოლაიშვილი**

არაერთი ლამაზი ღონისძიების მხილველი გამხდარა ოზურგეთელი საზოგადოება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში. მორიგი საგაზაფხულო ღონისძიება აქ ქალთა დღესასწაულებს მიეძღვნა. მუზეუმის დირექტორის გოგა ტრაპაიძის მილოცვის შემდეგ, მუზეუმის თანამშრომლები ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით, შეეცადნენ იმ ქალთა პორტრეტები დაეხატათ, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ამშვენებდნენ საზოგადოებას. მშვენიერი და წარმატებული ქალბატონები. ადამიანები, რომელთა ღვაწლი დიდია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიასა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში, არამედ არაერთი ქართველი თუ უცხოელი ხელოვანისთვის თავად ქცეულან შთაგონების წყაროდ.

მანანა ლომაძემ გამოსვლის დასაწყისში ისაუბრა კასტელის თვალით დანახულ მშვენიერ ქართველ ქალებზე, შემდეგ წარმოადგინა კონსტანტინე გურიელის ქალი ელენე გურიელი, უცხოელი რძლები, ფრანგი ადა შევერ-



თაყაიშვილი; ინგლისელი ანა ტარსეი მაჭუტაძე; გურიაზე შეყვარებული მარჯორი უორდროპი; ,,მილანელ ტყვედ'' წოდებული სონია დუმბაძე; გრძნობისა და სიყრმის გვარდიელები ნელი დუმბაძე, მარიამ (მარუსია) ტრაპაიძე, თამარ ურუშაძე, ქეთევან ხუნდაძე, ნუნუკი ხუნდაძე, ვალიდა მახარაძე, ეთერ სვანიძე; პოეტი და მსახიობი ატატო ბებურიშვილი; –ჩვენ არაერთი ლამაზი ქალი დავასახელეთ განვლილი ეპოქიდან, სილამაზე გრძელდება, გადახედეთ ერთმანეთს, ამ მიმართვით დაასრულა ქ-მა მანანა ლომაძემ თავისი გამოსვლა.

ლალი კილაძემ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საფო მგელაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა; მანანა მემარნიშვილმა – გალაკტიონ ტაბიძის მუზა აკვილინე შავიშვილი-სურგულაძე გაიხსენა; ; პოეტესა ლუბა იაკოვლევა-ჩხაიძის შემოქმედება მარიკა ჯაყელმა წარმოადგინა; ნინო ვაშალომიძემ კასტელის შემოქმედების ქართველ პერსონაჟ ქალთა ცხოვრების მიმოხილვა შესთავაზა მსმენელთ; შეხვედრაზე გაიხსენეს ახლო წარსულში გარდაცვლილ გამორჩეულ ქალბატონთა ნაწილი: ლალი კოტრიკაძემ ცნობილი ექიმების, ქეთო მგელაძე და ციცო თიკანაძის ღვაწლი გაიხსენა; ქეთინო ჭეიშვილმა –მასწავლებლები უმანკო ჭეიშვილი და ანა ბერძენიშვილი; ნანა გაგუამ – ფეფო ბოლქვაძე. ღონისძიებაში მონაწილეობდა ქალთა კვარტეტი ,,გამა''.

# მერაბ მჟავია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს



11 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს საკრებულოს წევრის პეტრე სალუქვაძისათვის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი განიხილეს. იგი საკრებულოში სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას ხელმძღვანელობდა. პარალელურად იგი იყო საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა დადებითად შეაფასა პეტრე სალუქვაძის მიერ საკრებულოში გაწეული საქმიანობა, და თქვა, რომ პეტრე სალუქვაძე ამჟამად ქ.თბილისის პროკურატურაში დაიწყებს მუშაობას.

სათანადო პროცედურის გავლის შემდეგ, საკრებულომ სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ სოფ. გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ მჟავია აირჩია.

# ლელა ნაცვალაძემ ზვიად კვაჭანტირაძესთან ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატების შეხვედრის თემა გააჟღერა




11 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დამთავრების შემდეგ, ლელა ნაცვალაძემ პრესკონფერენცია გამართა.

მან ჟურნალისტებთან ბოდიში მოიხადა საკრებულოს სხდომაზე მომხდარი მცირე ინციდენტის გამო, რაც საკრებულოს თავმჯდომარის მისამართით მის მიერ გამოხატულ „კომპლიმენტებს" შეეხებოდა, მისი თქმით ერთ-ერთი საკითხის განხილვის დროს საკრებულოს თავმჯდომარემ სიტყვის თქმა არ დააცალა და საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

პრესკონფერენციაზე ლელა ნაცვალაძემ თავისი წუხილი გამოხატა ამ და სხვა სიტყვების გამო.

შემდეგ ის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელსაც შეეხო.

—ვარ სამართლიანი. ამის გამო კრიტიკულიც. თუმცა არ მინდა არ აღვნიშნო კოტე შარაშენიძის გულისხმიერება იმ ადამიანების მიმართ, რომლებზეც მე ვთხოვე დახმარება და დაეხმარა შეძლებისდაგვარად. რაც შეეხება შაბათის შეხვედრას, საკრებულოს დეპუტატების ნაწილი გაფრთხილებული იყო, რომ ზვიად კვაჭანტირაძეს შეხვედროდნენ. არასამუშაო დღე იყო და შეხვედრაზე 7 დეპუტატი მივიდა: თამაზ სალუქვაძე, ავთო მექვაბიშვილი, გია ხუჭუა, მერაბ მჟავია, ავთო ნემსაძე, დიმიტრი კვერღელიძე, ლელა ნაცვალაძე.

8 მარტს, როცა ზვიად კვაჭანტირაძემ ახლადშექმნილ საზოგადოებრივ დარბაზთან შეხვედრა გამართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მე ვუთხარი, რომ საჭირო იყო დეპუტატის მეტი ჩართულობა ოზურგეთში მიმდინარე პროცესებში.

—ის, რაც ხდება ოზურგეთში, თქვენ უნდა გაერკვეთ, და არ არის წესი, არ ვერევითქო — თქვა,—ვუთხარი კვაჭანტირაძეს.

შაბათს, შეხვედრაზე კი ითქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცა დრო, რომ უფრო ქმედითუნარიანი გაეხადა საკრებულო, არ შესრულდა. ზვიად კვაჭანტირაძემ, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ ბუქსაობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, და დეპუტატებს ზოგადად გააცნო პოლიტსაბჭოს აზრი, რომ თუ მოხდება საკრებულოს თავმჯდომარის საკადრო ცვლილება, „ქართული ოცნება" დეპუტატ დიმიტრი კვერღელიძეს დაუჭერს მხარს.

—მე ამ კაცს (იგულისხმება საკრებულოს თავმჯდომარე) ვერ შევამჩნიე, რისი შანსიც მისცა ახალმა ხელისუფლებამ, რომ გამოეყენებინა—თქვა შეხვედრაზე კვაჭანტირაძემ.

ნაცვალაძის თქმით, მას აქვს გონივრული ეჭვი იმაზე, რომ რამდენიმე დეპუტატი ვიღაცისგან იყო მართული და ბოლო მომენტში არ მივიდა პარლამენტის დეპუტატთან შეხვედრაზე.

ლელა ნაცვალაძემ ასევე აღნიშნა, რომ ის ვერ შეეგუება იმას, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებში კვლავ ის ხალხი იყოს ჩართული, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს საეჭვო გარიგებებში იყვნენ ჩართულნი.

—უნდა იქნას შესწავლილი, თუ რა გააკეთეს ამ ადამიანებმა წარსულში. —თქვა მან.

# აბა გოგონებო — ახალი პროექტი გოგონებისათვის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პროფესიული კოლეჯის სააქტო დარბაზში საზეიმო განწყობას ქმნიდა ახალგაზრდების მხიარული შეძახილები, ღონისძიების წამყვანის ჩვეული ოსტატობა და საინტერესო კონკურსის მოლოდინი. პროექტი „აბა გოგონებო", ჩატარდა ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის ინიციატივითა და ოზურგეთის კულტურის სამსახურისა და ახაგაზრდული ორგანიზაციის „ახალი მუხტის"(ხელმძღვანელი მარეხი გობრონიძე) მხარდაჭერით. პროექტში მონაწილე გოგონებისთვის ადრევე ჩატარდა კონკურსი, რომელთაგანაც პირველი ეტაპისთვის შეირჩა 6 მონაწილე. —კარგ ტრადიციას ვუყრით საფუძველს, ჩვენს გოგონებს ეძლევათ საშუალება, წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები კულინარიაში, დიასახლისობაში, მხატვრულ კითხვაში, ქორეოგრაფიაში, მუსიკალურობაში, თეატრალურობასა და გრაციოზულობაში, — აღნიშნა ღონისძიების წამყვანმა, ინიციატორმა და ერთ-ერთმა განმახორციელებელმა ავთანდილ სირბილაშვილმა. პროექტის ლოგო, რომელიც საინტერესო თემატიკითაა წარმოდგენილი, ეკუთვნის მხატვარ ნინო ჭელიძეს. თითოეულ მონაწილეს სხვადასხვა ნომინაციაში აფასებდა სპეციალისტებისგან შემდგარი ჟიური. ღინისძიებაში მონაწილეობა მიიღო დამწყებმა მომღერალმა ხატია მუხაშავრიამ.

ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის, კოლეჯის გოგონებმა ერთდროულად რამდენიმე ნომინაციაში გამოიჩინეს თავი და მაყურებელთა მოწონებებიც დაიმსახურეს.

**მარიამ ხელაძე** — გრანპრი, ჟიურის და მაყურებლის რჩეული, ვოკალი, მუსიკა, მსახიობი, მხატვრული კითხვა;

**ქეთი სეფერთელაძე** — პლასტიკა, ქორეოგრაფია;

**ლიკა ცერცვაძე** — კულინარია, საუკეთესო დიასახლისი, ყველაზე მომხიბვლელი, ქორეოგრაფია;

**დოდონა დოლიძე** — ყველაზე გრაციოზული, ყველაზე ორიგინალური ნომერი, კუინარია;

**ფიქრია მურვანიძე** — საუკეთესო დიასახლისი;

**ლიკა ჭანუყვაძე** — საუკეთესო მსახიობი;

ავთანდილ სირბილაშვილის თქმით, მსგავსი ღონისძიება კვლავაც გაიმართება, რომელთაგანაც გამარჯვებულებისგან შეიკრიბება ერთიანი გუნდი.

# რა ძალამ დაუხურა პატარებს საავადმყოფოს კარი?

## „ამქვეყნად არ არსებობს „ავტორიტეტი,"რომელსაც შეიძლება შენთვის ძვირფასი რამ გაათელვინო."

**გაბრიელ ეპისკოპოსი**

*დღეს ოზურგეთში მტკივნეული თემაა ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საკითხი. ეს თემა არაა დაკავშირებული ვინმეს არაპროფესიონალიზმთან. მას წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები უდევს საფუძვლად. ამ მტკივნეულ თემასთან დაკავშირებით, რასაც მშობლები პატარებთან ერთად განიცდიან, შევეცადეთ გაგვერკვია და ვეწვიეთ შპს „ბავშვთა სამკურნალო ცენტრის"მთავარ ექიმს **დავით მდინარაძეს.** გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს:*



**—წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჯანდაცვის „რეფორმის" წყალობით, ამდენი ხნის სტაჟის მქონე ბავშვთა საავადმყოფო უფუნქციოდ დარჩა. მას წაერთვა ის უფლებები, რომლებსაც წლების მანძილზე პირნათლად ვასრულებდით. მოსახლეობაში გაჩნდა კითხვა —რამ გამოიწვია ეს და რატომ?**

—წინა ხელისუფლების დროს სახელმწიფო სტრატეგია განხორციელდა ჯანდაცვის კუთხით, რასაც მოჰყვა კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ ახალი საავადმყოფოების აშენება, რაც ერთი შეხედვით, ცუდი ნამდვილად არ იყო...

**—ვიცი თქვენ თავშეკავებული იქნებით. მაგრამ რამდენად სამართლიანია კონკრეტული კომპანიების ხელში, ერთდროულად იყოს მედიკამენტების წარმოება, საავადმყოფო, ამბულატორიული მომსახურება და დაზღვევა?**

—ახალი საავადმყოფოების აშენებას (ვიმეორებ, თავად ეს კარგი ფაქტი იყო) მოჰყვა სერიოზული ინტერესთა კონფლიქტი. ამას დაემატა ისიც, რომ ერთი ქოლგის ქვეშ იყო გაერთიანებული და ასოცირდებოდა სადაზღვევო კომპანიებთან ფარმაცევტული კომპანიები, რამაც შექმნა მონოპოლიები სამედიცინო ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში ძნელი იყო ფასების რეგულირება. ირღვევა ადამიანის უფლებები, ფაქტიურად ადამიანები დაუკითხავად, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, გააერთიანეს სადაზღვევო კომპანია „ალფაში."ე.ი. ადამიანებს არ ჰქონდა სადაზღვევო კომპანიების არჩევის უფლება. ასეთმა მონოპოლიურმა მიდგომებმა და სახელმწიფოს მხარდაჭერამ ამ მონოპოლიების მიმართ, მნიშვნელოვნად შეზღუდა სხვა საავადმყოფოების ფუნქციონირება. ეს გახდა სწორედ ოზურგეთის ბავშვთა საავადმყოფოს ფუნქციების შეზღუდვის მიზეზი.

**—რა მოცულობის კონტინგენტს ემსახურებოდით, რა შეგეძლოთ გაგეკეთებინათ და როგორი იყო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი?**

—ოზურგეთის ბავშვთა საავადმყოფო ემსახურებოდა 18 წლამდე ასაკის დაახლოებით 25 000 ბავშვს. 1999 წლამდე სტატისტიკური გარდაცვალება წელიწადში იყო 18 ბავშვი. ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრმა 1999 წლიდან მოყოლებული ბავშვთა გარდაცვალება შეამცირა ნოლამდე. ეს ბავშვთა სამკურნალო ცენტრის ერთიანი შრომის შედეგია.

**—„მედალფას"კლინიკაში განყოფილების გადასვლის შემდეგ რა ფუნქცია შეინარჩუნეთ და რა ფუნქცია დაკარგეთ? რა მომსახურებას უწევთ პატარებს ადგილზე?**

—მიუხედავად ამისა, ბავშვთა სამკურნალო ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობით აგრძელებს მუშაობას. დღემდე 24-საათის განმავლობაში შეგვიძლია მივიღოთ ბავშვები თერაპიული პროფილით.

**—ბიძინა ივანიშვილის მიერ ინიცირებული ჯანდაცვის ახალი პროგრამა საყოველთაო დაზღვევას ითვალისწინებს. ამ პირობებში შესაძლებელია თუ არა ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრმა იფუნქციონიროს?**

—საყოველთაო დაზღვევის პირობებში, ბავშვთა სამკურნალო ცენტრი უფრო დიდი ტემპით გააგრძელებს მუშაობას. ნამდვილად იქნება სასურველი ბავშვებმა სამედიცინო მომსახურება მიიღონ პროფილურ დაწესებულებაში. მე მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ არსებობს ერთობლივი წერილი მოსახლეობიდან, სადაც ისინი ითხოვენ ბავშვთა მომსახურების აღდგენას.

ესაუბრა **ია სალიძე**

# პროექტი „სწორად აირჩიე პროფესია"

**გიორგი ასათიანი**




გასულ შაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პროექტით „სწორად აირჩიე პროფესია", გათვალისწინებული მეორე შეხვედრა გაიმართა. რაც ითვალისწინებს უფროსკლასელთა შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. რატომ უნდა ავირჩიო ესა, თუ ის პროფესია, რითია საინტერესო და განსხვავებული ისინი ერთმანეთისგან. რა არის წარმატების საფუძველი, ამ შეკითხვებით ოზურგეთელმა უფროსკლასელებმა პირველი შეხვედრა ბიზნესმენ ირაკლი სირაძესთან გამართეს. მეორე შეხვედრა იურისტ — კახა ჩავლეიშვილთან შედგა. გრიგოლ მახარაძე დაგვეხმარა სტუმრების მოწვევაში. შეხვედრა საინტერესოდ, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. იურისტმა ისაუბრა ამ პროფესიის აქტუალურობაზე და დადებით მხარეებზე, თუ რატომ უნდა ავირჩიოთ მოსწავლეებმა იურისტობა. შეხვედრები გრძელდება აქტუალური პროფესიის ადამიანებთან. გთხოვთ გამოგვეხმაუროთ და მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

# გამოფენა სამხატვრო სკოლაში

**ნინო ნიკოლაიშვილი**



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. გაზაფხული და გაზაფხულის დღესასწაულები, დედაშვილობა, ამ თემებში განფენილი ბავშვური თვალით დანახული სამყარო წარმოადგინეს მოსწავლეებმა. სილამაზის, სიკეთის, სიყვარულის საოცნებო სამყარო. გამოფენის ინიციატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური იყო.

ძნელია გამოარჩიო უკეთესი ნაშრომი, იმდენად კარგია ყოველივე, ეს შეფასება დაიმსახურეს ავტორებმა უფროსებისგან. გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს ბავშვებს, ქალბატონებს, დედებს სამხატვრო სკოლის დირექტორმა კახა ვასაძემ, კულტურის სამსახურის უფროსმა მაია თანდილაშვილმა, საკრებულოს დეპუტატმა, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ირინა საჯაიამ.

# იუბილარი
## ჟურნალისტი რომან ცეცხლაძე 80 წლისაა



რომან ცეცხლაძეს — ჩვენი ოჯახის თავკაცს, მეუღლეს, მამას, ხუთი შვილიშვილის ბაბუას ვულოცავთ დაბადებიდან 80 წელს. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს. მისი გულთბილი სიტყვა, გამჭრიახი გონება და ჩვენთვის მუდამ ღირებული მრავლისმთქმელი სადი აზრი გვჯერა, რომ არა მხოლოდ დღეს, მომავალშიც დაგვაძლევინებს წინააღმდეგობებს. გვასწავლის, როგორ შევძლოთ სიკეთითა და სიმართლით ცხოვრება. ყველაზე ძვირფასი რამ, რასაც მის შთამომავლობას გენეტიკურად გადმოგვცემს, წიგნის სიყვარულია. არის მრავალი სტატიისა და გამოკვლევის ავტორი. დაწერილი აქვს წიგნი უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე. იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

იუბილარი ახალგაზრდული შემართებით კითხულობს, წერს მემუარებს სოფელი შრომის (ძველი მიქელ-გაბრიელის) ისტორიაზე და ცდილობს არ დაივიწყოს მეგობრები, ჟურნალისტები, ვინც მოდიან ჩვენს ოჯახში და იმედის თვალით შეჰყურებენ ქვეყნის მომავალს. „სოფლის ცოცხალი მატიანე“ (ასე უწოდებენ მას) ყოველთვის ჩვეული ენერგიით ტრიალებს ცხოვრების ფერხულში და მოყვასის სასიკეთოდ ანთებული ილვწის. ის არის პიროვნება, რომელიც გამოირჩევა მწუხარების დროს ჩვენი სოფლის ყველა ოჯახისადმი თანადგომითა და გულისხმიერებით. ცხოვრების უკანასკნელ გზაზე გაცილებისას მის მიერ წარმოთქმული სიტყვები გამამხნევებელი და ნუგეშისმცემელია ჭირისუფალთათვის.

რომან ცეცხლაძის ქარიზმატული პიროვნება შემაკავშირებელია ცეცხლაძეთა გვარისა. ის არა მხოლოდ ცოდნით, გასაოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. უნდა ნახოთ, როგორ ფუსფუსებს ვენახში. უვლის ციტრუსს, ხეხილს. მაგალითს აძლევს განსაკუთრებით ახალგაზრდობას იმაშიც, რომ მუყაითი და ნაყოფიერი გარჯაც ამ წუთისოფელში დიდი სიამოვნებაა.

ღმერთმა მზიანი, ნათელი დღეები უმრავლოს მას!

**მეუღლე – იამზე ვაშაყმაძე,
შვილები – რუსუდან და
ხათუნა ცეცხლაძეები.**

# ვულოცავთ!

**ჯაიგ ჟურნალისტს, ლიტერატურ პიროვნებას, საუკეთესო მეგობარს და ოჯახის მამას, გაზეთის „მეგობრობის დროშით“ ყოფილ რედაქტორს რომან ცეცხლაძეს დაბადებიდან 80 წლისთავს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.**

**გაზეთ „ალიონის“
რედაქცია**

# ვულოცავთ!

ეთერ თოთიბაძე, ლამარა, ლალი, ეთერ ქადეიშვილები, ესმა, ლალი, მაია სალუქვაძეები, ციცო შარაძე, ნინო კალანდაძე, ლიანა კამის კა, დოდონა მჟავანაძე, დოდოს, თეონა ქადეიშვილი, მაიკო ჩხარტიშვილი, შალვა ჩხაიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

# ნიკუშა მახარაძის გახსენება



დრო მკურნალიაო ამბობენ, მაგრამ იმ ტკივილს, რომელსაც შენი სახელი თან ახლავს, დრო ვერ კურნავს. 5 წლის შემდეგაც დიდი ტკივილით გიხსენებთ — შენი მეზობლები ნიკუშა.

გაუსაძლისია უშენობა. ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს, მეზობლებს, ყველას, ვინც კი გიცნობდა, ძალიან ენანება შენი უდროდ შეწყვეტილი სიცოცხლე, რომელიც სავსე იყო იუმორით და ხალისით.

შვილმკვდარ მშობლებს განსაკუთრებულად დღე რად უნდათ შენს გასახსენებლად? მათი სიცოცხლე, ყოველი დღე ხომ შენს ხსოვნას ეძღვნება —ნიკუშა. შენი არყოფნა ტანჯვად ეღვრება სულში შენს მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, დას და დისშვილს —მარიკას, რომელსაც უზომოდ უყვარდი და ზრდის პატარა ნიკოლოზს. ხუთი წელია მხოლოდ სიზმარში გხედავენ და საფლავის ცივ ქვას ეფერებიან.

წახვედი და შენს მეუღლეს — მაკას დაუტოვე ცრემლიანი გულისტკივილი. ცნატრები და ამ მონატრებას საზღვარი არ აქვს... რას იზამს — დროს ვერც შეცვლის და ვერც შეაჩერებს. უყვარხარ ნიკუშა, შენს ლამაზ სულს სჯეროდეს, რომ ეს ყველაზე ლამაზი, ალალი და მართალი გამხელილი სიყვარულია!.. წახვედი და დაუტოვე სამუდამო ტკივილი, რომელიც არაფრით უნელდება. წახვედი და სამუდამო სასჯელი დაუტოვე — უშენოდ ცხოვრება.

შენს შვილებს ყველაზე მეტად დააკლდი. ბაიურა და საბა უკვე დიდი ბიჭები არიან. უშენობას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეუვსებთ.

ჩვენ, მეზობლები არასდროს დაგივიწყებთ. შენი სულის გასანათლებლად, დაგინთებთ სანთლებს. ყველა ერთად ვლოცულობთ, რომ სამუდამოდ ნათელში დაიმკვიდრო სასუფეველი.

გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები — ნიკუშა!

**მეზობლები.**

# „პოლიტიკაში ქალთა სიმრავლე მამაკაცურ ბიუჯეტს შეარბილებს?“




კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ საგაზაფხულო შეხვედრები ოზურგეთის ქალთა კლუბში ქალთა დღესასწაულების მილოცვით დაიწყო. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში თავდაპირველად კლუბის წევრებმა რეგიონში არსებულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება და ამ პრობლემების ფონზე ქალთა ჩართულობაზე ისაუბრეს არა მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებში, არამედ გადაწყვეტილებების მიღების დონეზე. კლუბის წევრემა შეხვედრა მოუწყვეს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობ ბელა კიკაძეს, რომელსაც გასულ წლებში ერთი მსახიობის თეატრი ჰქონდა შექმნილი. იქვე გამოითქვა სურვილი თეატრის განახლებისა. ნანა ჩხარტიშვილმა კოსმეტიკური ფირმის „ორიფლეიმის“ პროდუქცია საჩუქრად გადასცა მოწვეულ მსახიობს. შეხვედრის ბოლოს კლუბის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს საჩუქრები თავდ ფონდ „სოხუმიდან“ გადაეცათ.

მომდევნო შეხვედრაზე ოზურგეთის ქალთა კლუბის წევრები საკრებულოს დეპუტატს, ირინე საჯაიას შეხვდნენ, რომელმაც დარბაზში დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

მისი თქმით, აუცილებელია ქალთა აქტიურობა, რადგან თუნდაც ბიუჯეტის შედგენისას, მამაკაცთა სიმრავლე ხელს მამაკაცური ბიუჯეტის შექმნას უწყობს, სადაც შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი სოციალური, კულტურული პროექტები. თუმცა ამ საკითხზე საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად საუბრობენ. კვლავ დაისვა საკითხი ერთი მსახიობის თეატრის განახლებისა, რაზედაც საკრებულოს დეპუტატმა აღნიშნა, რომ საჭიროა ამის შესახებ თეატრის დირექციას ეცნობოს, რათა მათ მიერ წარმოდგენილ პროექტებში ეს საკითხიც იქნეს გათვალისწინებული.

გახსენება

# ტოლეფი ხელაძე



უკვე რამდენიმე თვეა ჩვენთან აღარ ხარ და ძალიან გვენატრები. შენ ხომ ყველაზე საყვარელი, მზრუნველი და თბილი ბაბუა იყავი. მიტომაც გეძახდით ბაბუჩას, რომელიც ძალიან გიხაროდა. მარტო ჩვენ არა, ყველას ენატრები, შენს მეუღლეს, ერთადერთ შვილს, რძალს და შენს უსაყვარლეს დას, რომელიც ამბობს, ჭიშკარს გავხედავ ხოლმე, მგონია შემოაღებსო.

უდიდეს ტკივილად გვექცა შენი უეცარი გარდაცვალება. წამებში დამთავრდა სიცოცხლე, რომელიც დააკლდა შენს ახლობლებს, ყველას, ვინც გიცნობდა.

ჩვენგან წახვედი და გაიყოლე დარდი, შენი საყვარელი ოჯახისა, რომელსაც ათეულობით წლები აშენებდი, უვლიდი და უფრთხილდებოდი. ჩვენთან სიცოცხლე გრძელდება, ყველაფერი თავის რიგზე დგას, მაგრამ შენი მზრუნველი ხელი და გული სხვა მადლისა და სითბოს მატარებელი იყო. ამას ვერაფერი შეგვიცვლის.

ხშირად გიხსენებთ და გპირდებით, არასოდეს დაგვავიწყდები, ვილოცებთ შენი სულისთვის და ისე გავაგრძელებთ ცხოვრებას, შენ რომ გაგიხარდებოდა, შენ რომ ოცნებობდი.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს შენი სული ჩვენო საყვარელო ბაბუ.

**შენი შვილიშვილები ნათია და მარი.**

# „მერცხალი“ კვლავ დამარცხდა

საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის II წრის მე-2 ტურის მატჩში „მერცხალმა“ სამტრედიის „ლოკომოტივს“ უმასპინძლა და კვლავ დამარცხდა 1:2.

# ამირან (ამიკო) პეშკოვი



ჩემო ამიკო! ჩემო თბილო, ტკბილო, მოსიყვარულე ბიჭო! მზიან ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი მკვლელობის ამბავი. თავზარი დაგვცა ყველას, დღემდე გაოგნებულები ვართ. რა იყო ეს? რისთვის? ვისთვის? ნუთუ, ასე ადვილია გამეტება კაცის? მით უფრო ახლობლის (როგორ არ შეიბრალა შენი ავადმყოფი დედა, გაჭირვებული ბიძა). ნუთუ ასე ადვილია გამეტება ახალგაზრდის, შვილის ტოლისა. შენ უსაზღვროდ თბილი და კეთილი გული გქონდა. შენ სულით ვაჟკაცი იყავი. იცოდი მეგობრობის, ძმაკაცობის, ჰატიოსნების ფასი. ეკი თავის გაწირე. შენ შეგეძლო ერთი ნახვით გულში ჩაგეხუტებინა დიდი და პატარა, ქალი და კაცი. სხვათათვის დასახმარებლად იყავი დაბადებული. მუდამ ცდილობდი ყველას გვერდში დგომას და გამხნევებას. კეთილშობილანს, მოუსვენარს, ვერცხლისწყალივით დაუდგრომელს მუდამ სადაც მიგეჩქარებოდა და ვაი, რომ საბედისწეროდ წასვლაც ნაჩქარევად მოვიხდა. შენივე მოყვასი, შენი მკვლელი აღმოჩნდა. ვაი, მისი განკითხვის დღეს.

რაღაცნაირი შარმი გქონდა, გაუმეორებელი, რომლითაც ყველასთვის ახლობელი იყავი. დაკრძალვის მთელი ოზურგეთი, სახლობლდა, ნაცნობი და უცნობი. არ იყო მიზეზი, რომ სიკვდილის ღირსი გამხდარიყავი.

შენმა სიკვდილმა თან წაიღო შენი დიდი და ლამაზი გეგმები, მომავალი, რომელიც ძალიან ახლოს იყო შენთან.

ჩემო თვალსჩინო ბიჭო, ღმერთს შევთხოვ ნათელში ამყოფოს შენი სულიც და შენს მოსახსენებლად შენს ტანჯულ ოჯახს სიმხნევის ძალა შემატოს.

**შენი დეიდა მანანა ბოლქვაძე.**

ეთერ ქადეიშვილი, გულსუნდა მახარაძე, გულიკო ლომინაძე, გიგლა გიორგაძე, ლამარა სიმონიშვილი, ქსენია კალანდაძე, ნუგზარ ასათიანი, ნინელი კალანდაძე, ნინო სალუქვაძე იუწყებიან გაზეთ „ალიონის“ ყოფილი რედაქტორის აფთონ გურგენიძის ქალიშვილის, **მაია გურგენიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

სოფ. ბაილეთის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ამირან, ნანა, ნიკო მამულაიშვილების ოჯახებს, რეზო, ბექა ჩიკაშუებს **ნონა ამირანის ასული მამულაიშვილი-ჩიკაშუას** გარდაცვალების გამო.

ლერი კილურაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ნონა მამულაიშვილი-ჩიკაშუა** და თანაგრძნობას უცხადებს ამირან, ნიკო და ამუკა მამულაიშვილებს.

ნუგზარ ასათიანი, ნაზი, ნინო, მარინა, ავთო ნიკოლაიშვილები, თენგო, დავით შარაშიძეები, ლელა მესხი თანაუგრძნობენ ვახტანგ, ლევან, მაყვალა ასათიანებს დედის **ნორა ფილოსანი-ასათიანის** გარდაცვალების გამო.

გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ რეზო და ბექა ჩიკაშუებს მეუღლისა და დედის **ნონა ამირანის ასული მამულაიშვილი-ჩიკაშუას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე